ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1922443

ნომერი: AR1310126

თარიღი : 14.05.2015

გაცემის თარიღი : 29.05.2015

გაცნობის თარიღი : 01.06.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , შალვა ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი N10ვ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ზურაბ ღარიბაშვილი პ/ნ 01024002661
- ქ. თბილისი, საბურთალოს ქ.#3

ორგანიზაცია:
- შპს "ჰაუს გრუპ" კოდი: 405060927

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 07.05.2015წ. №1884669 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 14/05/2015 წ. #AR1310126 განაცხადით მომართა ზურაბ ღარიბაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 07.05.2015წ. №1884669 ბრძანებით შეთანხმებულ დოკუმენტაციაზე +35.52 ნიშნულზე გეგმის დამატება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 07.05.2015წ. №1884669 ბრძანებით, ქ. თბილისში, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი N10ვ, შპს "იმედი-95"-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.14.02.009.016) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.

განმცხადებელი უთითებს, რომ 14/05/2015წ. AR1303849 განცხადებით შესათანხმებლად წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამორჩენილ იქნა გეგმა +35.52 ნიშნულზე, რაც იწვევს შეუსაბამობას 07.05.2015წ. №1884669 ბრძანებაში დაფიქსირებული მაჩვენებლებსა და სამსახურში წარმოდგენილ გეგმებზე დატანილი ფართების ჯამს შორის. შესაბამისად, განმცხადებელი ითხოვს 07.05.2015წ. №1884669 ბრძანებით შეთანხმებულ დოკუმენტაციაზე განსახილველი, #AR1310126 განცხადებით წარმოდგენილი +35.52 ნიშნულზე გეგმის დართვას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

სამსახურმა შეადარა განმცხადებლისმიერ წარმოდგენილი გეგმა +35.52 ნიშნულზე შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს და მიზანშეწონილად მიიჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, პროექტის შეთანხმების ეტაპზე არ იქნა წარმოდგენილი გეგმა +35.52 ნიშნულზე, თუმცა საპროექტო შენობის ჭრილებსა და ფასადებზე გათვალისწინებულია აღნიშნული ნიშნული, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია, 07.05.2015წ. №1884669 ბრძანებით შეთანხმებულ დოკუმენტაციას დაურთოს წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი გეგმა +35.52 ნიშნულზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს განმცხადებლის მოთხოვნა;
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 07.05.2015წ. №1884669 ბრძანებით შეთანხმებულ დოკუმენტაციას დაემატოს წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი გეგმა +35.52 ნიშნულზე.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 07.05.2015წ. №1884669 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შესაძლებელია გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კმ, N6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში.